საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 10 იანვარი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 35

**2011 – 2012 სასწავლო წელს ბაკალავრიატში ჩარიცხული აბიტურიენტებისა და მუსიკის ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტების პროგრამული დაფინანსების შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2011 წელს ხელოვნების უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი სუფსიდიიდან განხორციელდეს მუსიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე–3 და მე–4 კურსის სტუდენტების (სულ 14) პროგრამული დაფინანსება;

2. 2011–2012 სასწავლო წელს ბაკალავრიატში მისაღები კონტინგენტის პროგრამული დაფინანსებისათვის გამოიყოს 16 ადგილი, მათ შორის

სახვითი, სასცენო და კინოტელეხელოვნების ფაკულტეტი – 10 ადგილი

ფერწერა – 1 ადგილი;
არქიტექტურა – 2 ადგილი;
ტანსაცმლის დიზაინი – 2 ადგილი;
ტელერეჟისურა – 2 ადგილი;
დრამისა და კინოს სამსახიობო – 2 ადგილი;
დრამატული თეატრის რეჟისურა – 1 ადგილი.

მუსიკის ფაკულტეტი – 6 ადგილი

ფორტეპიანო – 1 ადგილი;
საორკესტრო სიმებიანი – 1 ადგილი;
საორკესტრო ჩასაბერი – 1 ადგილი;
ვოკალი (აკადემიური სიმღერა) – 1 ადგილი;
დირიჟორობა (აკადემიური გუნდი) – 1 ადგილი;

კომპოზიცია – 1 ადგილი;

3. მე-2 პუნქტით გამოყოფილ ადგილებზე პროგრამული დაფინანსება განხორციელდეს ბაკალავრიატში ჩარიცხული პირველი კურსის სტუდენტებზე.

4. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს უნივერსიტეტის წარმომა-დგენლობით საბჭოს;

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს**
**თავმჯდომარე** **ე.მესხია**